№ 43 27 თებერვალი, სამშაბათი 1866—1879 27 თებერვალი, სამშაბათი № 43

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible] ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პეტარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხელის-მოწერა გაჭირვებულ ქობულეთელთათვის

სია მესამე

26 თებერვალს

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გიორგი ხუციშვილი— — | 2 | „ |
| მოსე ჯანაშვილი — — — | 1 | „ |
| ვ., ნ. და გ. ჯანაშვილები— | „ | 60 |
| X. X. — — — — — — | 2— | 10 |
| X. X. — — — — — — | 3 | „ |
| ალექსანდროვის სამოსწავლო ინსტიტუტის შაგირდებისაგან — — — — — — | 20— | 15 |
| ზაქ. ქოტეტოვი („დროების“ ამწყობლები) | 1 | „ |
| არშ. ქაგაროვი („დროების“ ამწყობლები) | „ | 50 |
| გიორ. აბაშიძე („დროების“ ამწყობლები) | „ | 50 |
| დავ. ბიგაური — — — — | 1 | „ |
| დევ. ზუბელაძე — — — — | „ | 20 |
| ეკატ. თოფუროვისა — — | „ | 15 |
| ტფ. სას. სემინარიის შაგირდებისაგან — — — — — | 22 | „ |
| **უფ. გ. ხუციშვილის საშუალებით მოგროვილი:** | | |
| ივ. იმანძე — — — — | 1 | „ |
| ნიკ. ძიკლაშვილი — — — | „ | 30 |
| მიხ. ფოფხაძე — — — — | „ | 20 |
| ადამ მატჩეიჩი — — — — | 1 | „ |
| აბრ. ხუციშვილი — — — | 1 | „ |
| დავ. ციბაძე — — — — — | „ | 50 |
| მღ. იაკობ ჩიჯავაძე— — — | 1 | „ |
| გრ. საროევი— — — — — | „ | 20 |
| ალექსი დეისაძე— — — — | „ | 50 |
| მიხ. ნასყიდოვი — — — — | 1 | „ |
| გიორგი ბაირამოვი— — — | „ | 20 |
| **ქუთაისში მოგროვილი უფ. ა. ღ—ის საშუალობით:** | | |
| ანტ. ღულაძე — — — — | 1 | „ |
| მინა აკალიანი — — — — | 1 | „ |
| ს. ღოღობერიძე— — — — | 3 | „ |
| ივ. ზედგინიძე — — — — | 1 | „ |
| მაქს. ღოღობერიძე — — — | 1 | „ |
| მელ. ღოღობერიძე — — — | 1 | „ |
| ალ. ტატიშვილი — — — | 1 | „ |
| სული— | 72— | 10 |
| ადრინდელი იყო— | 126— | 45 |
| სულ რედაქციაში არის— | 198— | 55 |

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი**, 23 თებერვალს. ღენერალ სკობელევმა გამოუცხადა ოსმალოს მთავრობას, რომ რუსის ჯარები ორი კვირის განმავალობაში გავლენ ადრიანოპოლიდამაო. რუსის არმიის მთავარი კვარტირა ქ. სლივნოში იქნება გადატანილი.

**ლონდონი**, 23 თებერვალს. ინგლისის დოქტორები ქოლვილი და პენ 10 მარტს მიდიან აქედამ ასტრახანში; პეტერბურღში და მოსკოვში გაივლიან.

**ვეტლიანკა**, 22 თებერვალს. „გოლოსის“ დეპეშა: გუშინ მომკვდარის პისარევის ვაჟის ძმაც გახდა ავათ ფილტვების ანთებით. მორჩენის იმედი არ არის. დღეს მოვიდნენ ვეტლიანკაში უცხო ქვეყნის ექიმები: გირში, ქისპერი, ქაბიოდისი (ოსმალეთის) და პროფესორი ეიხვალდი.

გირშმა და ზესიადეცკიმ ტელეგრამმით აცნობეს დღეს თავიანთ მმართებლობათ ვენაში და ბერლინში, რომ კარანტინი, რომელიც პრუსიამ და ავსტრიამ გამართა, საჭირო აღარ არისო, რადგან აქეთკენ ჟამი სრულიად მოსპობილიაო.

**პეტერბურღი**, 23 თებერვალს. გრაფ ლორის-მელიქოვი იწერება ასტრახნიდამ, რომ ექიმები გირში და ეიხვალდი დარწმუნდნენო, რომ ვეტლიანკაში რომ ჟამი იყო, ის ყოფილა ლევანტის ჟამი ძალიან სუსტი თვისებისაო.

დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა ხარკოვში მყოფობის დროს ნახა ახლად-მოკლული ღუბერნატორის თ. კრაპოტკინის ქვრივი. ხალხი ოვაციებით მოეგება დიდ მთავარს.

**პეტერბურღის ბირჟა**, 23 თებერვალს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 96— | 50 |

## ფელეტონი

### ახალციხური ფელეტონი

შარშან ჩვენ დიდი სიხარული დაგვიდგა, როცა ბერლინის კონგრესმა ევროპის აღმოსავლეთის საქმეებს გარდა, ჩვენს ასიულს საქმეებსაც შეეხო და თავის გარდაწყვეტილებით ყარს-არტაანთან ბათუმიც გვარგუნა.

მაგრამ დღემდის ჩვენი სიხარული, ჩვენი კეთილმოლოდინება ისევ ორწყალთა-შუა არის დაშთენილი. ჯერაც არ გათავებულა ანლვრეულობა, არ მოსპობილა ბჭობა-კამათი და არც არა რიგიან ადგილს გაჭრილა საზღვრები, რომ ცოტაც არის მაინც გული დაგვდონდგილებოდა და დამშვიდებულვიყავით!.. ისევ ის პირვლანდელი ბორგვა-შფოთვა, ისევ ის გულის ხუთვა, ძგერა და მღელვარება; ისევ ის შემაწუხებელი კავშნის ზვირთების ცემა-ხეთქა გაწვრილებულს სულს ზედა და უიმედობის უფსკრულში ლუპვა!...

სამწუხარო ეს არის, რომ ამ ჩვენს ესრედ აქოთავებულს მდგომარეობის კვალს ფეხ-და-ფეხ მისდევს არევ-დარევითვე ჩვენი გარეგანი სამოქალაქო და სასულიერო მართვის მდგომარეობაცა. ამ ჟამად ვერავის ნახამ თავის ბედად თავის წინმძღოლ და მოხელეზედ მადრიელსა ან ცოტაოდნად კმაყოფილსა. რისთვის? ამისთვის რომ იმ ნაირნი მაინე პირნი, თუ უსარგებლონი დარჩნენ საქმეში დროების მოთხოვნილებით, არ იყვნენ დასაყენებელნი; ამათ მიეამხანაგათ, მეემატათ იმ ჯურის კაცნი, რომ არ იყვნენ წინ წასაყენნი და არც ღირსნი საქმეში შესვლისა...

„ქურდს რა უნდა, და ლამე ბნელიო.“— ბევრმა მელებმა კრავის ტყავი ჩაიცვეს, მგლებმა ცხვრის ტყავი და გაძვერა ტურებმა ხომ ქვეყანა ამოგვიგდეს. იმდენი ვნება და გალეწვა ომიანობის ბრძოლაშედეგ-გადენას, ჭრა-კვლას და უადგილო სისხლის ღვრას არ მოუტანია ჩვენთვის, რასაც ვნება-ოხრებას ამ გვარნი ქვებუდანა გაძვერაები გვაძლევენ დღესაცა. საჩივარი ათასია და გამგონი კი არავინ არის, რადგან მთავრობას ჯერ კიდევ იმათთვის არა ჰსცალიან, და როდის ჩავარდებით რიგში, ვინ იცის!...

რაც დრო გადის, უფრო მატულობს ამ გვარ პირების წყალობით ყოველ ნაირი უწესოება, ამღებ-მიმცებლობაში, სჯა-სამართალში, მსაჯულ-მომჩივართა, მმართველ-მსახურთა შორის, რიგ-კანონში, მღვდელ-მოძღვარ-ერში და სხვ.

სადაც გაიხედ-გამოიხედოთ, ყველგან დაგხვდებათ კაცობრიობის კეთილ-წარმატების დამამცირებელი ბოროტი მოვლინება, უმეცრება... ნეტარ ყოფილიყო ღთისაგან დადგენილი განგებ იმისთანა სარკე, რომელსაც ეჩვენებინა საქვეყნო საარაკოდ თვითეულ პირის დაფარული ერთ მეორეს სავნო გულის ხვაშიადები.. რა კარგი იქნებოდა ავ კაცთ შესარცხვენელად და კარგ კაცთ გამაპატიოსნებლად? რამდენს გონებას, თვალ-ყურს გაუხსნიდა და რამდენს პირს კრიჭას შეუკრავდა! რამდენს გაზაფხულის ყვავილივით ახლად დაჰბადებდა და რამდენს

| | | |
|---|---|---|
| მეორე — — — — — — | 96 — | „ |
| მესამესი — — — — | 95 — | 50 |
| მეოთხესი — — — — | 95 — | 75 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 93 — | 25 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 9 — | 12 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8 — | 41 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | 93 — | „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. | კაპ. |
| პირველი სესხის — — | 236 — | „ |
| მეორე სესხის — — — | 236 — | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 23 — | 94 | პენსი |
| ამსტერდამი — — | 116 — | 25 | ცენტი |
| ბერლინი — — — | 199 — | 25 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 245 — | „ | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | „ — | „ | — |

# საქართველო

## დღიური

*** გაზეთის „კავკაზის“ სიტყვით, მომავალი მარტის თვის 3-დამ თფილისის კრუჟოკში დაიწყება საზოგადო ლექციების კითხვა და მუდამ კვირას სამშაბათ-შაბათობით საღამოს 8 საათიდამ ორ-ორი ლექცია იქნებაო. ლექციებს წაიკითხვენ შემდეგი პირნი:

ერიცოვი—„რუსეთისა და ოსმალეთის შეტაკება მცირე აზიაში“ და „ახლანდელი მდგომარეობა არზრუმის ვილაიეტისა.“ პალმი (მამა)—„ახლანდელი დრამმატიული ლიტერატურის მიმოხილვა“ და „სცენიკურს ხელოვნებაზედ რუსეთში.“ გლებოვისა—„პირველ-დაწყებითი სწავლა სამშობლო ენისა და სახალხო შკოლების გამართვა.“ ექიმი შმისსა—„მიზეზი ქლერ ქის ავათმყოფობისა და საშუალება იმის გაძლიერების შეჩერებისა.“ ვორონპაევი—„ტელეფონი, მიკროფონი, მიკროტაზიმეტრი და ფონოგრაფი.“ ექიმი მალინინი—„შამზედ.“ ბერჟე—„ღენ. ერმოლოვის ცხოვრებიდამ კავკასიაში“ და მოდზალევსკი — „რამდენათ ზრუნვენ თფილისის შკოლები მოსწავლეთა ჯანმთელობაზედ.“

ადგილების ფასი თითო საღამოს ლექციებისა იქნება 30 კაპ. დაწყებული 2 მანეთამდინ. ერთი ნაწილი წმინდა შემოსავლიდამ ქველ-საქმისათვის იქნება დანიშნული.

ყველა ამ ლექციებს, რასაკვირველია, რუსულ ენაზედ წაიკითხვენ.

*** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ბათუმისა და ყარსის მაზრებში რუსეთის სასამართლოს წესები უნდა იქმნეს შემოღებული.

ბათუმის მომრიგებელ მოსამართლედ, როგორც შევიტყეთ, დანიშნულია თფილისში მყოფი მომრიგებელი მოსამართლე უფ. ბონდირევი—ყოვლად პატიოსანი კაცი და ჩინებული მოსამართლე; ამის ნაკლულევანება, საუბედუროთ ის არის, რომ არ იცის არც ქართული და არც თათრული ენა და უამისოთ ბათუმში, რაღა თქმა უნდა, იმას ძალიან გაუჭირდება მოსამართლის თანამდებობის აღსრულება, რადგან დამტკიცებულია და გადამტკიცებულიც, რომ თარჯიმანი ამგვარ ენის უცოდინარე მოსამართლეს ბევრს ვერას შველის და ხშირად თვით საქმესაც ჰრევს, აფუჭებს..

*** ამბობენ, ჩვენი პოლიცია ცდილობსო, რომ იმას მიენიჭოს ყველა ის უფლება, რაც სანიტარულ კომისიებსა აქვთო, ე. ი. მოსთხოვონ სახლის პატრონებსა და მედუქნეებს, რომ სუფთად შეინახონ თავის ეზოები, ფეხის-ადგილები და სხვ. და სხვ., და თუ რომელიმე სახლის-პატრონი ანუ მედუქნე არ შეისმენს პოლიციის მოთხოვნილებას, მაშინ იმას შეეძლოს სასამართლოს საშუალობით ჯარიმა გადახდევინოს იმას ანუ დაატუსაღოს.

*** მოგეხსენებათ, რომ შარშანწინ, როდესაც ალაშქერთის სომხები აპირებდნენ ერევნის გუბერნიაში გადმოსახლებას, იმ დროს თფილისში შესდგა კომისია, რომელმანც ითავა ამათ სასარგებლოდ ფულების შეკრება; მოაგროვეს თითქმის 20,000 მანეთამდინ; მაგრამ, რაღაც მაზეზის გამო, ის ფული სულ არ დაურიგებიათ მაშინ; როგორც სჩანს, 10,000 მანეთი ამ ფულებიდამ ახლაც ერთს თფილისის ბანკში აწყვია.

გაზ. „მშაკ“ ამბობს ახლა, კარგი იქნებაო, რომ ეს დანარჩენი 10,000 მან. გადავსცეთ იმ „არარატის საზოგადოებას“, რომელიც სომხის ახალგაზდობის განათლებაზედ ზრუნავს და პირობად დაუდოთო, რომ ამ ფულის სარგებლით გამოზარდონ ალაშქერთის სომხების შვილებიო.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ საჩხერელი ურიების დამცველი გამოჩენილი ადვოკატი უფ. ალექსანდროვი 22 ამ თვისას ჩამოსულა იქ პეტერბურღიდამ.

## კიდევ ქუთაისის სატუსაღოზედ

„დროების“ მე-21 №-ში დაბეჭდილია ჩემი წერილი ქუთაისის სატუსაღო ციხის ზოგიერთ უწესო მდგომარეობაზედ, რომელშიაც, სხვათა შორის, ვამბობდი, რომ ტუსაღების ხარჯიდამ, რომლებსაც თერთმეტ-თერთმეტი კაპეიკი ეძლევათ სულზე ხაზინიდამ, ყოველ-თვისა-და-თვის თავს რამოდენიმე თუმანი ეკონომია რჩებათ ხოლმე და ეს მორჩენილი ფული არესტანტებმა არ იციან შეაქვთ ვისმეს ისევ ხაზინაში, თუ თავის ჯიბეში ვინმე აჩხრიალებს-მეთქი. ამ კითხვაზე პასუხს ველოდი ვისგა-

მწარე სუსხ-ყინვით ბოლოს მოუღებდა! რამდენს უჭირველად, უთოფოდ, უხრმლოთ მოჰკლამდა და რამდენს მკვდრეთით აღადგენდა, გააცოცხლებდა?! მაშინ არც სახელის ხსენება იყო საჭირო და არც დაფარვა, არც ჩურჩული და არცარა პუტპუტი: ერთის სიტყვით ქვეყნის სამაგალითო სასარგებლო საქმე იქმნებოდა.

მაგრამ რა? იმდენი დღე-სიცოცხლე შენ და მე, ჩემო პატივცემულო მკითხველო, რამდენიც ურცხვ-უპირწყლო, შუბლის ძაფ გაწყვეტილები აღმოჩენილიყვნენ, რომ არც კი შეესადარათ თავიანთ ბოროტობა დანაშაულზედა ყოველს წოდებისაგანთა! იმისთვის უთქვამთ: „სირცხვილი მორცხვისთვის არის, ურცხვისთვის არ არისო.“ იმათგანთ მომეტებულთ ნაწილთ ავ-კაცობა თუმც პირად სძულსთ, მაგრამ გულით თანაუგრძნობენ და თავიანთვის დიდ სახელადაც მიაჩნიათ... განა ამაზედ ნაკლებია რაც ჩვენს „დროების“ გაზეთში უწყვეტლივ ათასნაირი ერთ მეორეს ურიგობა ცხადდება პირ-და-პირ სახელდობრ დაჭემშარიტებით მღვდლისა, ერისა, ბატონისა, ვაჭრისა, გლეხისა, მსახურისა და მოხელეთა, მაგრამ ისინი იმ თავიანთ ბრალზედ არა თუ ტყდებიან, არამედ პირ-იქით ცდილობენ თავის გამართლებასა და სხვებზედ გადაბრალებასა!.. უწინ სახელი უპირატესი ყოფილა ქონებისა, როგორც უთქვიათ: „სახელი სჯობს ქონებასაო.“ მაგრამ ახლა სახელისაგან უფრო ქონებას ამჯობებენ; უ. მირ—თან სახელი, პატიოსნება, სიმართლე და შებრალება აბა რა სახსენებელია? იმას სავსე ჯიბეებიდგან ოღონც ფულს ნუ მოაკლებთ და ყოველ გვარ ლახვა-ლანძღვას მიიღებს დიდის სიამოვნებითა; პირველი მილიონერიც ის გახლავსთ!...

გაილილად ხმა გავარდა, ვითომც ბათუმის საზღვარი მაკრიალზედ გადის, ართვინი და მისი მიმდევი მიწა-წყალი ჩვენკენ რჩებაო. ახლა ამბობენ: არა, ჭოროხი ყოფილა საიზღვარი; ამიტომ მუდირიც მოსულა და ჭოროხის გაღმაობაში მოსამართლობსო!

თუ ეს მართალია, მაშინ კლარჯეთი სარგებლობისაგან უფრო მრავალ თავპირმტვრევას, ჭრა-და-კვლას მოგვიტანს. ვილას შეეძლება იქაურ ხეობა-ღადა-ღუდაში გავლა-მოგზაურობა? გალმით ბუსუნში დამჯდარი ორიოდე გავარდნილი კაცი ხელში თოფებით მრთელ ქარვან-მოგზაურთ ამოსწყვეტ! ამაზედ რაც კანონი და წყობილობა დაიდვას, სრულ უსარგებლო იქნება, მის დღეში საფუძველს არ დაიჭერს, იმ რიგი ადგილია და იმ რიგი ხალხი ასხია.

უკეთესი ის იქნებოდა, ახალციხის ძველ საზღვარზედ გასულ იყო, ღევაბოინითგან ქამარალთზედ, აზრუმისა და ტრაპიზონის მახლობლად; მაშინ ჩვენი ნათქვამი ახალციხის 24 მაზრა ჩვენკენ დარჩებოდა, აღარც აჭარლები აიგდებდნენ გულსა ოსმალეთში გარდასახლებისათვის და არც-და სხვანი; თვარემ სრულ-უბრალოდ ჩაივლის ჩვენი ამდენი თავში ცემა და სისხლის ღვრა,—ტიალი მიწა-წყლის მეტი არა დაგვრჩება-რა აფხაზეთივით და ჩერქეზეთისავით.

ნაც რიგი იყო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ყურსაც არავინ იბერტყავს. ღმერთმან მშვიდობის მგზავრობა მისცეს იმ მორჩენილ ფულებს, თუ არესტანტებს თერთმეტ კაპეიკზე ნაკლები ხარჯი ყელში ამოსდისთ; მაგრამ დღეს რომ არესტანტებს ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი კაპეიკი ხაზინიდამ ეძლევათ, ნეტა რა მიზეზია? შექველია, თერთმეტი კაპეიკი არ ნაკმარა და იმიტომ ექვსი კაპეიკი მოუმატებიათ. მაშასადამე, ან სიცრუვეა ჩემის მხრით, როცა ვამბობ, რომ თერთმეტ-თერთმეტ კაპეიკიდამ არესტანტებს ყოველ თვიში რჩებათ-მეთქი რამოდენიმე თუმანი, ან სიმართლე, რომ მორჩენილ ფულებს ვინმე თავის ჯიბეში აჩხრიალებს. მორჩენილი ფული რო ხაზინაში არ შენავალა, ამას დამტკიცება არ უნდა. ჩვიდმეტ-ჩვიდმეტ კაპეიკს ხაზინა რათ იძლევა, თუ თერთმეტ-თერთმეტი კაპეიკი ისე საკმაო იყო, რომ რამდენიმე თუმანი ეკონომია რჩებოდა?

თუ ორი კვირის განმავლობაში, როცა ეს წერილი დაიბეჭდება, კიდევ პასუხი ვერ მივიღე ვისგანაც რიგი და წესია, იმ შემთხვევაში მე უნდა დავამტკიცო: 1) არესტანტების სასმელ-საჭმელის უვარგისობა; 2) რამდენი თუმანია შეკვრეხილი ჩამონარჩენ ფულებიდამ, როცა თერთმეტ-თერთმეტი კაპეიკი ეძლეოდათ და 3) რამდენი თუმანი რჩებათ არესტანტებს დღეს, როცა ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი კაპეიკი ეძლევათ.

ჩარარაშვილი

ქუთაისი, 21 თებერვალს.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

კახეთიდამ, 30 იანვარს. სახალხო სასწავლებლები მრავლდებიან ჩვენში. ქართველობამ, მაშასადამე, იცნო ისინი სახეიროდ. ჩვენს ახალგაზდებში იბადებიან ისეთნი, რომელთაც იკადრეს დატევება ქალაქებში ფუფუნებითი ცხოვრებისა. ესენი სთმობენ ბალ-კრუჟოკებ-ვეჩერებში და ბალ-ბულვარ-ტროტუარებში წკაპა-წკუპსა. აღარ სთაკილობენ სოფლად ცხოვრებას. სწირამენ თავს მცირე დაჯილდოებისათვის მძიმე მოვალეობას— მასწავლებლობას, თუმცა ეს ხელობა არ უქადის იმათ მომავლისათვის, საბოლოვოთ ბრწყინვალე შედეგს და ამ ჟამათაც არ შეუძლიანთ დაიკვეხონ ბედნიერი ცხოვრებით!..

ბევრი მასწავლებელთაგანი ითმენს ვერა მოსათმენ გაჭივრებაებს: ვიცი მე მასწავლებელი, რომელიც სხვა-და-სხვა მიზეზთა მეოხებით ორ-ორ, სამ-სამ თვეობით და ნახევარ წლობითაც ჯამაგირს ვერ იღებს; არის უცხო სოფელში, უცნობთა შორის და ვინ იცის, რის ვაივაგლახით საზრდოობს. და ეს ცოტაა: ვიცი ისეთიც, რომ მთელი ცივი დრო წლისა უსახლოთ, უშეშოთ და უბიჭოთ გაატარა. იჯდა მარტოკა მოწნულ ფაცხაში და ებრძოდა ზამთრის შეუბრალებელ სუსხსა და როცა ეს უკანასკნელი დაძლევდა,—მისტეხ-მოსტეხდა, წამოჰკრეფდა ჩინჩხვარს, მოაფულებდა პაწია ცეცხლსა და უტრიალებდა იმას გარშემო შესაწვავ ზვარაკივით და სხვ.

მაგრამ ესენი არაფრად აგდებენ, ანუ არაფრათ უნდათ ჩააგდონ ამგვარი განსაცდელი და შრომობენ სინიდისიანათ, პატიოსნურად, რამდენათაც ღონე და გარემოებანი ემორჩილებიან.

საშუალო ჯამაგირი მასწავლებლისა ოც-და-ხუთი თუმანია,—სამიოდე აბაზი დღეში! ამაზედ მეტს ხომ „შავი მუშაც“ იღებს! და ამ გროშებისთვისაც ზოგმა 20-25 ვერსი უნდა გაისეირ-გამოისეიროს ხოლმე მუდამ თვე, ზოგჯერ ორ-სამჯერაც თვეში. შეზდის უპრავლენიის ბატონებმა, როცა გუნებაზედ არ არიან, ხშირად იციან ხოლმე მიზეზების შეკრება: ესაო, ჯერ ამ თვის 21, წინ-წინ როგორ მოგცეთო, ესაო „პრაზნიკი“ დღეაო, არ შეიძლებაო და სხვ. მიდიხარ თვის გასულს და [illegible] „პრაზნიკ“ დღეს და ჰხედავ: გაუ[illegible] ყუთებში წვეტიანი კალმები და სხედან უსაქმურად ყურებ ჩამოყრილნი დუქინი მწერლები. რაკი დაგინახეს, მიდიხარ, წამოავლებენ ხელს კალმებს და მოჰყვებიან წერას, თითქო ერთი მძიმე საქმე ჰქონდესთ გასაკეთებელი. „დღეს ფოჩტის დღეა, ბევრი საჩქარო საქმეები გვაქვსო“, მოგახსენებენ: „და თქვენი ჯამაგირის აღება ხომ საქმე არ არისო,—სოფლის „უჩიტელები“ ხართო!

აი ბოლოს ეღირსე ჯამაგირს. საწყალი დღიური სამი აბაზი გაუყავით ჩაცმა-დახურვას, სმა-ჭამას, სანთელს, თუთუნს, მისვლა-მოსვლას და სხვა ათასნაირ რამეებს, რომლებშიაც უფრო საჭიროებს ადამიანი!..

მაგრამ, ვამბობ, მიუხედველად ამისა მასწავლებლები მრავლდებიან ჩვენში და არა ზოგვენ ისინი ჯანს სინიდისიანათ შრომისათვის. აქ სჩანს, რომ იმათი მიზანი ჰყოფილა არა შფოთვა და ღრტვინვა ლუკმა-პურისათვის, არამედ „შრომა და ცდა ქებული“. ამაზედ თვით უ. დირექტორი სახალხო შკოლებისა ამბობს თავის 1877 წლის ანგარიშში შემდეგს: „მე მრავალი ფაქტები მაქვს ვსთქვა, რომ არა მარტო ლუკმა-პურის მოპოებამ მიიყვანა ეს ახალგაზდები მასწავლებლობისადმი!... ისინი აკეთებენ ადგილობრივი გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობაების საქმეებს, უხსნიან ხალხს იმის საჭიროებას, სარგებლობას. ზადიან მუდამ ყრილობაში და ყველა ამაებით ამტკიცებენ, რომ იმათ ესმისთ სახალხო შკოლის მასწავლებლის მოვალეობანი“ და სხვ.

ძალიან კარგი და პატიოსანი! სანატრელ მოვლენას უნდა მიეწეროს ესა! მაგრამ.. (ეჰ! უ-მაგრამოთ ხომ არა ითქმის-რა ჩვენში!) სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ, ან იშვიათად

---

არ კმარა, რაც აქამდის მოწყვეტილ-დაშორებულნი იყვნენ ჩვენგან ჩვენი ძმანი და უმოწყალოდ ისრისებოდნენ მძლავრ ოსმალოს ხელში, რომ ახლაც ხელ-ახლავ იმაზედ უარესს ჭირში არ ჩაცვინდნენ საცოდავები? რა ბევრი რიცხვისა ჩვენ ვართ, სრულ ერთი მუჭა ერთ ხორც-სისხლის, ერთი მოგვარე ერი ვართ და ისიც ორ სახელმწიფოს შუა ვიგლიჯებით!.

ჩვენ ნათქვამს ჭამარალთვით დევაბოინამდისაც რომ გაიჭრას ჩვენი საზღვარი, მაინც კიდევ ცოტა იქნება ამიტომ, რომ ტრაპიზონი ძველადგანვე სამეგრელოს დედაქალაქია მილოტელების უწინ და შემდგომაცა; სინობი, ამასია, თოხათი და სებასტია (სუაზი) სამესხეთოს ნაწილებია ქიზილ-ირმაგის გალმა-გამოღმა მდებარე მიწა-წყლითა!... ამ შემთხვევაში ევროპა დიდი მოვალე არის ჩვენი, რომ შეგვეწივნენ რუსეთთან ერთად; როდისაც მოგვცეს ბათუმი, მოგვცენ სრული მიწა-წყალიცა ჭამარალთითგან მაინც დევა-ბოინამდის...

ბულღარებს, რუმინელებს, სერბიელებს და ბოსნია-ჰერცოგოვინელებს მის დღეში ჩვენი მესედი სამსახურიც არ ჰქონიათ ევროპაზედ ოსმალების შესაკავებლად, რაც ჩვენ გვაქვს სამსახური: მოყოლებული მეშვიდე საუკუნითგან მეთვრამეტე საუკუნოებამდის ვებრძოდით ჩვენსა და ყოველ ქრისტიანების მტერთ: არაბებს, პარსებს, თათრებს და ოსმალებს უწყვეტლივ თავგანწირულად; იმათი დიდი, თავი ძალა ჩვენ წინაპართ გმირების წინაშე იმუსრებოდა და ევროპამდის ხელი აღარ უწვდებოდათ: თვარემ დღეს ავსტრია და იტალია ოსმალებისაგან ჩვენზედ უარესს მდგომარეობაში იქნებოდა!... ხომ ნახეს როგორ ბოლო მოუღეს არაბებმა პარსეთის ხელმწიფობასა, თათრებმა სომხის მეფობასა და ოსმალებმა საბერძნეთის საკეისროსა და სხვა წვრიმალ მეფეებსა? იმასაც არ დასჯერდნენ, შეცვინდნენ იტალია-ავსტრიაში რამდენიმეჯერ და როგორ აიკლეს? თუმც ერთი-ათასად და ათი-ათასად ჩვენზედ მომეტებულნი იყვენ კაცით თუ ძალა-სიმდიდრით, მაგრამ ვერ დაუდგნენ წინ იმათ მრისხანე დიდ ძლიერებასა; იმათში მხოლოდ პოლშის მეფეებმა გამოიჩინეს ნიჭი სიმხნისა და იმათ უნდა უმადლოდეს დღეს რუსეთი... ჩვენი წინაპარნი კი ერთი ასსა და ათი-ათასსა ებრძოდნენ უშიშრად და დაუღალავად, როგორც თაოსკარელი გმირი დავით მეფე კურატ-პალატი, რომელმანც მრთელი სომხეთის ქრისტიანობა და სხვანი რამდენ ბარბაროსების კლანჭს ააცილა. რამდენი სიკეთე მოუტანა ჩვენს ქვეყანასთან ერთად იმათ ქვეყანასა და რამდენსაც მოუტანდა, თუ არ მოეწამლათ ავ-გვართა!?

ვინმე მესხი

ახალციხე, 4 თებერვალს

(დასასრული შემდეგ №-ში)

ვხედავთ, ერთ ადგილას ფეხ-მოკიდებულ, გულ-დადებულ მასწავლებელს. იმსახურა, ვსთქვათ, ერთმა ორი წელიწადი ერთ სოფლის შკოლაში, ძლივს მოეწყო და მოაწყო შკოლა, შეიჩვია და შეეჩვია მოსწავლეებს და ამ დროს დაჰკრა ფეხი და გადავიდა ან სხვაგან სამუდამოთ, ან მეორე შკოლაში. ამის ადგილზედ ინიშნება ახალი მასწავლებელი, რომელსაც ცოტა ცდა და შრომა არ მოელის თავდანებებული საქმის რიგზედ მოყვანისთვის. ყმაწვილებს ახალი მასწავლებლის მოსვლა, ასე ვსთქვათ, აფთხობს, აშინებს, უკარგავს ხალისს სწავლისადმი. „ვინ იცის, როგორი უჩიტელია“, ფიქრობენ ისინი: „იქნება ასეთი ვინმე, რომ დაგვხოცოს ცემით!“ (სოფლის ყმაწვილებს უთუოდ წარმოდგენილი აქვსთ,—ალბათ დედ-მამის ჩაგონებით,—რომ ოსტატმა იმათ ნამდვილად უნდა „სცემოს, დასტუქსოს, გაუჯავრდეს, შავი დღე დააყენოს და კაცად აქციოს“!)

ამისათვის აქ ან სულ აღარ მოდიან ყმაწვილები, ან იმათი უმეტესობა თავს ანებებენ, სწყვეტენ ძლივს დაწყებულ სწავლას; ან და მოდიან, მაგრამ ერთხელ გაკვალული, გაკაფული გზა ელობებათ და ველარ ულიათ იმ გზაზედ ისე თავისუფლად, როგორც ადრე! ესენი უცხოობენ თავიანთ ახალ წინამძღვარს, არ ესმისთ იმისი რიგიანათ და აქედამ ის წარმოსდგება, რომ ოსტატი იძულებულია თავიდამ საქმის დაწყებაზედ, ყმაწვილებიც იძულებულნი იმის დამორჩილებაზედ, თუმცა არა ხალისითა და მოწადინეობით, როგორც პირველში. ერთნაირად გაწურთვნილს ყმაწვილებს ახალი მასწავლებელი მეორე ნაირად, თავისებურად დაუწყებს წურთვნას და ამნაირად შუა გზამდი მისულებს ისევ თავში აბრუნებენ. და ეს იმეორება რამდენჯერმე!...

მოკლედ რო ვსთქვათ, ყველასათვის ცხადია, რომ სხვა-და-სხვა მასწავლებელი შკოლას ძნელად თუ მისცემს რიგიან გზასა! ეს იქ, სადაც ერთად ერთი მასწავლებელია; შკოლა ამ ერთის ხელში ტრიალებს ყოველი მხრით, თორე რა სხვა ანგარიში აქვს მასწავლიბლების გამოცვლას ასე ვსთქვათ, დიდ შკოლებში, სადაც ყმაწვილები შეეჩვიენენ სხვა-და-სხვა ფერობასა! სოფლის „ბიჭები“ შეეჩვიენენ ერთ ოსტატს, გაიცნეს იმისი ხასიათები, მოიგეს იმისი გული, ესმისთ ყოველივე იმისი მიხრა-მოხრა, თვალის დახამხამება, ფეხის გადადგმა; გაზომეს, აწონეს და შეუყვარდათ ისა,—ნუღა მოაშორებთ ამას!

(დასასრული შემდეგ №-ში)

## განცხადებანი

უფ. ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. პ. მესხის მაღზიაში **ისყიდება**

**„ვაი ჭკუისაგან“**

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

**ფასი—ექვსი შაური**

სომხეთ ნერსესის სემინარიის პოპეჩიტლების სოვეტში, მომავალს მარტის 14 საღამოს, 7 საათზედ, არის დანიშნული ტორგი უპერეტორშკოთ იჯარით მისაცემათ, თელეთის წმინდის გიორგის ეზოში, ერთი დუქნისა თაკისის ერთის ოთახით.

მსურველს ალებისა იმ დუქნისა შეუძლიან წაკითხვა პ ი რ ო ბ ი ს ა (кондиція) იმავე სემენარიის კანცელარიაში ყოველ დღე კვირისა და უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდგან ვიდრე 12 საათამდისინ. (3—2)

გამოვიდა და ისყიდება

**„ბუტიაობა“**

ვოდევილი

**აკაკი წერეთლისა**

**ისყიდება:** ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის საკანტოში—ბულვარზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—უფ. პ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

**ფასი—ერთი აბაზი.**

**თფილისში** უფ. ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. პეტრე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **ისყიდება:**

**ალმანახი**

შედგენილი

**გ. თუმანიშვილისაგან**

წიგნი მეორე

გამოცემული ზ. ჩარკვიანისაგან

**ფასი—ორი აბაზი**

დაიბეჭდა და ისყიდება ა. ცუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; **„რძალი, მული და მაშენიკები“**,—თ ფ ი ლ ი ს შ ი: გრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: გიორგი ბარათოვთან, გ ო რ შ ი: ზაქარია დონდაროვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ შ ი: თ. ვანო თაქთაქოვთან, ს ა ქ ა შ ე თ ს: თ. ნიკო დიასამესწისნ მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქ უ თ ა ი ს ს: პ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, ს ა მ ტ რ ე დ ი ა ს: იორდანე სიხარულიძესთან, ფ ო თ შ ი, ელიზბარ გაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე ცუთაევის მეორე კომედია.—**„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“**

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამ. | | 3 | 96 | 2 | 21 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთშ, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოსტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 26 თებერვ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 30 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 60 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი | 6 | 60 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 4 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 70 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 50 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 55 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | „ |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 70 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მოედანზე, წ ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი და გარ ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიურჩარიანც—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ი:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიურჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

**შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 26 Февраля 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.